2-2728/20
13-02-2020

პარლამენტის ბიუროს

„იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე **(07-2/435; 13.01.2020)**

განხილვის ახალი ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პარლამენტის ბიუროს, 2020 წლის 17 იანვრის (N323/2) გადაწყვეტილებით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) მ/წ 10 მარტამდე დაევალა შეთანხმება „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული რატიფიცირების თაობაზე (07-2/435; 13.01.2020) განხილვა და შემდგომში დასკვნის ბიუროსათვის წარდგენა; აქვე გაცნობებთ, რომ განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა (სავალდებულო) მოგვმართა თხოვნით (წერილი N2-/2446/20; 10.02.2020) ზემოთ აღნიშნული საკითხის გადავადების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე“ განხილვის ახალი ვადების განსაზღვრის შესახებ და განხილვის ვადა გააგრძელოთ ერთი თვის ვადით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ბერაია